



ფინანსური აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვაგტაქივებ“

აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის
ავტონომიურ რესპუბლიკაში
დეპარტამენტის უფროსი
ნოე ქაშიბაძე

01 ივლისი 2019 წელი
N 35/36

გვ. N1

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და
მასთან არსებული ორგანიზაციების 2018 წლის
31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის
კონსოლიდირებული (ნაერთი) ანგარიშგების
ფინანსური აუდიტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის მიზანია ხელი შეუწყოს საჯარო ფინანსების მართვის პროცესის გაუმჯობესებას და შესაბამისად სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტურ მუშაობას, რაც დააჩქარებს ქვეყნის განვითარებას.

საჯარო აუდიტის პროცესი, გამოცემული ანგარიშები და რეკომენდაციები ეხმარება პარლამენტს ობიექტური, საიმედო ინფორმაციის საფუძველზე განახორციელოს ეფექტური ზედამხედველობა მთავრობაზე, რომლის ვალდებულებაა გააუმჯობესოს სახელმწიფო სერვისები ხალხისთვის.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური აუდიტორული მიგნებების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციებით, ეხმარება საჯარო ინსტიტუციებს, მიმართონ ძალისხმევა ნაკლოვანებების პრევენციაზე და მათ ხელთ არსებული რესურსები გამოიყენონ პროდუქტიულად, კანონმდებლობით განსაზღვრული საქმიანობის ხარისხიანად წარმართვისათვის.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიაჩნია, რომ აუდიტის ობიექტების მხრიდან დროული და ღია კომუნიკაცია ხელშემწყობი ფაქტორია საჯარო მმართველობის პროდუქტიულობის ზრდისა და ამ პროცესში მიგნების მიღწევისთვის.

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები 3 ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ 4 დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე 6 1. პირობითი მოსაზრების საფუძველი 7 2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები 13 3. სხვა გარემოებები 16 4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა 24	
დანართები	ფინანსური ანგარიშგების ფორმა 26 საკონტაქტო ინფორმაცია 30	

ტერმინები და შემოკლებები

აფხაზეთის ა/რ - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა

აღრიცხვის ინსტრუქცია - საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის ბრძანება N1321 „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“

ბიზნეს-ინკუბატორი - სსიპ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლების და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი „ბიზნეს-ინკუბატორი“ (18 05)

გეოლოგიის სააგენტო - სსიპ გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტო (18 03)

იგპ - იძულებით გადაადგილებული პირი

ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი - საქვეუწყებო დაწესებულება-ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტი (18 02)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება - ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საინფორმაციო ცენტრი - სსიპ საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი (18 04)

სამინისტრო - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (18 00)

სამინისტროს აპარატი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატი (18 01)

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი


ფინანსური ანგარიშგება - ფინანსური მდგომარეობის შესახებ ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო ფინანსურ და ეკონომიკურ პოლიტიკას აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. სამინისტროს ფუნქციებია: მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო სისტემის მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირების ღონისძიებათა განხორციელება; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და პრივატიზების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვა და განკარგვა; სტატისტიკური აღრიცხვა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონებითა და წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა ეფექტიანი მართვისათვის პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია, ასევე გადაწყვეტილების მიღება ამ ქონების მართვის უფლების დელეგირების, განკარგვის, გადაცემისა და ვადაზე ადრე ჩამოწერის შესახებ; სამინისტროს საანგარიშგებო წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს, მოიცავს რესპუბლიკური ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულების პროგრამული კოდით (18 00) დაფინანსებული საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსურ ანგარიშგებებს (იხ. დიაგრამა N1).

დიაგრამა N 1: სამინისტროს სტრუქტურა



ცხრილი N 1: სამინისტროს 2018 წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები (ლარებში)

პროგრ ამული კოდი	დასახელება	დამტკიცებუ ლი ბიუჯეტი	დაზუსტებუ ლი ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	დარიცხული ხარჯი	სხვაობა დაზუსტ.- დამტკ.	შესრულება
18 00	სულ	1,706,425	1,705,920	1,617,802	2,206,459	(505)	95%
	ხარჯები მათ შორის:	1,689,425	1,672,556	1,584,437	2,206,459	(16,869)	95%
	შრომის ანაზღაურება	996,130	982,430	962,607	975,255	(13,700)	98%
	საქონელი და მომსახურება	309,285	303,087	240,121	242,075	(6,198)	79%
	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	80,130	-	-
	სუბსიდიები	368,300	357,629	357,628	357,628	(10,671)	100%
	გრანტები	-	-	-	522,590	-	-
	სოციალური უზრუნველყოფა	14,750	28,450	17,056	17,056	13,700	60%
	სხვა ხარჯები	960	960	7,025	11,725	-	732%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	17,000	33,364	33,364	-	16,364	100%

ცხრილი N 2: 2018 წლის საკასო ხარჯების გადანაწილება სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებზე (ლარებში)

კომპონენტის დასახელება	საკასო ხარჯი	პროცენტული წილი კონსოლიდირებულ ხარჯებში
18 01 - აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	936,667	58%
18 02 - საქვეუწყებო დაწესებულება - ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტი	236,271	15%
18 03 - სსიპ გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტო	126,999	8%
18 04 - სსიპ საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი	250,000	15%
18 05 - სსიპ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლების და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი "ბიზნეს-ინკუბატორი"	67,865	4%

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (პროგრამული კოდი: 18 00) კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას (ბალანსს) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ დანართებს¹, მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები“.

1. პირობითი მოსაზრების საფუძველი

1.1 არაფინანსური აქტივები

1.1.1 ძირითადი

აქტივების

ღირებულებითი

შეფასების ნაკლოვანებები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები წარმოდგენილი იყო არასწორი საბალანსო ღირებულებით. კერძოდ, 2014 წელს ბიზნეს-ინკუბატორის მიერ მიღებული შენობა-ნაგებობის ღირებულება შესაბამისი ექპერტის დასკვნის საფუძველზე განისაზღვრა 1,200,000 ლარით, თუმცა ბიზნეს-ინკუბატორის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახა და შემდგომი აღრიცხვის მიზნებისათვის (ცვეთის დარიცხვა) გამოიყენებოდა აქტივის პირველადი საბალანსო ღირებულება – 1,188,000 ლარი. ამავდროულად, აღნიშნულ და 2016 წელს მიღებულ მეორე შენობა-ნაგებობაზე ყოველწლიურად შეცდომით ხდებოდა ცვეთის ნორმის გაანგარიშება-დარიცხვა, რის გამოც „2112 – არასაცხოვრებელი შენობების“ მუხლი არასწორად იქნა გაზრდილი 13,199 ლარით (იხ. ცხრილი N3).

ცხრილი N 3: ბიზნეს-ინკუბატორის ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულების გაანგარიშება

N	ქონების დასახელება	ბალანსზე აღრიცხული მონაცემები			ხელახალი გაანგარიშება			სხვაობა
		პირველადი საბალანსო ღირებულება	ცვეთის ნორმა %	ნარჩენი საბალანსო ღირებულება 31.12.2018	პირველადი საბალანსო ღირებულება	ცვეთის ნორმა %	ნარჩენი საბალანსო ღირებულება 31.12.2018	
1	შენობა-ნაგებობები 2014	1,188,000	1%	1,136,889	1,200,000	1%	1,128,000	8,889
2	შენობა-ნაგებობები 2016	426,800	1%	418,306	426,800	1%	413,996	4,310
3	სასათბურე კონსტრუქციები	106,380	1%	102,188	137,234	1.5%	127,380	-25,192
	ჯამი			1,657,383	1,764,034		1,669,376	-11,993

გარდა ამისა, მოძრავი აქტივის (სასათბურე კონსტრუქციები) საბალანსო ღირებულების განსაზღვრისას არ იყო გათვალისწინებული მათი დემონტაჟის (გადაადგილებად კონსტრუქციებად გადაქცევის) 29,234 ლარის² პირდაპირი დანახარჯები. მიუხედავად იმისა, რომ აღრიცხვის ინსტრუქციით,³ ძირითადი აქტივების მიღება აისახება ღირებულებით, რომელიც მოიცავს აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო პირდაპირ დანახარჯებს, მათ შორის, მონტაჟისა და დემონტაჟის ხარჯებს, ბიზნეს-ინკუბატორს არ განუხორციელებია დემონტაჟის ხარჯების საბალანსო ღირებულებაზე დამატება. გარდა ამისა, აღრიცხვისას გამოიყენებოდა არასწორი ცვეთის ნორმა, რის გამოც „2122 – სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლი არასწორად იქნა შემცირებული 25,192 ლარით (იხ. ცხრილი N3).

ზემოაღნიშნულის შედეგად, ბიზნეს-ინკუბატორის ფინანსური მენეჯერის არაკვალიფიციური მიდგომისა და კონსოლიდაციის პროცესში სამინისტროს აპარატის საფინანსო სამსახურის არასათანადო შემოწმება-კონტროლის გამო,

² 2015 წლის 6 თებერვლის მიღება-ჩაბარების აქტი

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი და მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივები წარმოდგენილია 11,993 ლარით არასწორად შემცირებული თანხით.

1.1.2 აქტივად აღიარების კრიტერიუმების დარღვევები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „2112 – არასაცხოვრებელი შენობების“ მუხლზე არასწორად იყო ასახული 14,831 ლარის საბალანსო ღირებულების საოფისე ფართის რემონტის ხარჯი. კერძოდ, ინფრასტრუქტურის დეპარტამენტმა 2015 წელს ჩაატარა მის სარგებლობაში არსებული 310.31 კვ.მ საოფისე ფართის 15,449 ლარის ღირებულების რემონტი (ჰოლისა და საპირფარეშოს - ჭერის, იატაკისა და კედლების დამუშავება-შედგება). აღნიშნული სარემონტო სამუშაოების შედეგად საოფისე შენობა არსებითად არ გაუმჯობესებულა.⁴ აღრიცხვის ინსტრუქციით,⁵ ძირითადი აქტივების მოვლა-შენახვისა და მიმდინარე შეკეთებისათვის გამოყენებული საქონელი და მომსახურება წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის ხარჯებს და არ აისახება ძირითადი აქტივების შემადგენლობაში. მიუხედავად ამისა, საოფისე ფართის საბალანსო ღირებულება 15,449 ლარით არასწორად გაიზარდა, ამასთანავე აქტივების რეესტრში შეცდომით აღიარდა ცალკე აქტივად „საოფისე ფართის რემონტი“, რომელსაც ყოველწლიურად ერიცხებოდა ცვეთა 1%-ის ოდენობით და 2018 წლის ბოლოს აქტივის საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 14,831 ლარი.

ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის ბალანსზე „2122 - სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“, ასევე სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „2118 – გაყვანილობის სისტემების“ მუხლზე არასწორად იყო აღრიცხული 3,290 ლარის საბალანსო ღირებულების ელექტროგაყვანილობის ხარჯი. კერძოდ, ინფრასტრუქტურის დეპარტამენტმა 2016 წელს ისარგებლა სს „თელასის“ გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების მომსახურებით, რომლის ღირებულებამ შეადგინა 4,700 ლარი. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილებით,⁶ აღნიშნული ხარჯი წარმოადგენს მხოლოდ არჩეული პაკეტის მიხედვით ქსელზე მიერთების საფასურს და არა მრიცხველისა და კაბელის შეძენის ღირებულებას, რის გამოც იგი უნდა აღიარებულიყო არა ძირითად საშუალებად, არამედ მიმდინარე პერიოდის ხარჯად. შესაბამისად, 4,700 ლარის თავდაპირველი ღირებულებით „ელექტროგაყვანილობის ხარჯების“ ძირითად საშუალებად არასწორად აღრიცხვამ და შემდგომ მასზე ცვეთის (1%-ის ოდენობით) დარიცხვამ, გამოიწვია აქტივების საბალანსო ღირებულების 3,290 ლარით არასწორად გაზრდა.

ამრიგად, ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის მთავარი ბუღალტრის არაკვალიფიციური ქმედებების შედეგად აქტივად აღიარების კრიტერიუმების გაუთვალისწინებლობისა და კონსოლიდაციის პროცესში სამინისტროს აპარატის საფინანსო სამსახურის მიერ კომპონენტის ფინანსური ინფორმაციის არასათანადო კონტროლის გამო, სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი და 24-ე მუხლის მე-17, მე-18, მე-20 პუნქტები.

⁶ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 18 სექტემბრის N20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დანართი N4.

ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების ნაშთი წარმოდგენილია ჯამში 18,121 ლარით არასწორად გაზრდილად.

1.2 ვალდებულებები

1.2.1 შტატით

მომუშავეთათვის
დარიცხული ხელფასების
აღრიცხვის ნაკლოვანება

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „3251 – შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასების“ მუხლზე არამართებულად იყო აღიარებული 16,332 ლარის ვალდებულება. ბიზნეს-ინკუბატორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ხარჯების შესწავლით დადგინდა, რომ აღნიშნული ვალდებულება საერთოდ არ არსებობს, ვინაიდან, ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე სახის დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა თანამშრომლების მიერ შრომის ანაზღაურების მიუღებლობის ფაქტი. როგორც გამოვლინდა, 2018 წელს საშტატო განრიგი არ დამტკიცებულა და ხელფასი გაიცემოდა თანამშრომელთა ნამუშევარი დღეების მიხედვით, ხოლო ვალდებულებად აღრიცხული იყო არა დარიცხული/გასაცემი ხელფასი, არამედ შეცდომით დათვლილი თანხა. შესაბამისად, ბიზნეს-ინკუბატორის ფინანსური მენეჯერის არაკვალიფიციური მიდგომით ფინანსურ ანგარიშგებაში შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ვალდებულებების უსაფუძვლოდ ასახვისა და კონსოლიდაციის პროცესში სამინისტროს აპარატის საფინანსო სამსახურის არასათანადო შემოწმება-კონტროლის გამო, სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულებები 16,322 ლარით არასწორად იქნა გაზრდილი.

1.2.2 მიღებული

გრანტების აღურიცხაობა

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღრიცხულა გრანტის სახით მიღებული და შეუსრულებელი ვალდებულებები. სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით⁷ ბიზნეს-ინკუბატორმა 2018 წლის 20 დეკემბერს მიიღო 560,000 ლარის ღირებულების სამეცნიერო გრანტის პირველი ტრანში – 140,000 ლარი. ხელშეკრულებით⁸ განსაზღვრული იყო, რომ გრანტის თანხები ავანსის სახით გადაირიცხებოდა გრანტის მიმღების ანგარიშზე, რის შემდეგაც სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი მონიტორინგით დაადასტურებდა გაწეული ხარჯების მიზნობრიობას. არამიზნობრივი ხარჯების გაწევის შემთხვევაში, მიღებული თანხა დაბრუნდებოდა საგრანტო ანგარიშზე. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ 2018 წელს ბიზნეს-ინკუბატორს არ განუხორციელებია მიღებული გრანტის ფარგლებში რაიმე სახის ხარჯვითი ოპერაცია და ვინაიდან აღრიცხვის ინსტრუქციით⁹ გრანტის აღრიცხვაში ასახვა ხდება ყველა მოთხოვნისა და პირობის შესრულებისას, ბიზნეს-ინკუბატორისათვის მოპოვებული გრანტის პირველი ტრანში საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას წარმოადგენდა ავანსის სახით მიღებულ შემოსავლებს და უნდა აღრიცხულიყო ანგარიშზე „3282 - წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლები“.¹⁰ ნაცვლად ამისა, ბიზნეს-ინკუბატორის ფინანსური მენეჯერის არაკვალიფიციური მიდგომის შედეგად,

⁷ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდსა და ბიზნესინკუბატორს შორის 2018 წლის 18 დეკემბერს გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულება AR-18-2653 გამარჯვებული პროექტის „ახალი ტიპის კონსულტურბინიანი ქარმრავა სივრცითი წონასწორობის უზრუნველყოფით“ - საგრანტო დაფინანსების შესახებ.

⁸ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდსა და ბიზნესინკუბატორს შორის 2018 წლის 18 დეკემბერს გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების AR-18-2653 მე-2 მუხლის 2.2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და მე-5 მუხლის 5.6 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 29-ე მუხლის მე-40 მუხლი.

ბიზნეს-ინკუბატორის ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულებები აღიარებული არ იყო. ამავდროულად, კონსოლიდაციის პროცესში სამინისტროს აპარატის საფინანსო სამსახურის არასათანადო შემოწმება-კონტროლის გამო, სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულებები 140,000 ლარით არასწორად იქნა შემცირებული.

ვალდებულებების არასწორად აღიარების (აღრიცხვის) შედეგად სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულებები ჯამში 123,678 ლარით არასწორად იქნა შემცირებული.

1.3 არასაბიუჯეტო შემოსულობების აღრიცხვის ხარვეზები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ იყო აღრიცხული არასაბიუჯეტო საქმიანობით (ბიზნეს-ინკუბატორის სარგებლობაში არსებული ფართისა და სასათბურე კონსტრუქციების იჯარით გაცემა) მოიჯარეებისაგან წინასწარ/ზედმეტად მიღებული შემოსავლებით წარმოშობილი ვალდებულებები. ამასთანავე, არასრულად იყო ასახული რიგი მოიჯარეების მიერ გადაუხდელი ყოველთვიური იჯარის საფასური. 2018 წელს უძრავი ქონების 14 და კონსტრუქციის 28 მოიჯარისაგან ჯამში მიღებულია 68,304 ლარის შემოსავალი, ნაცვლად ხელშეკრულებებით გათვალისწინებული 70,033 ლარისა. როგორც გამოვლინდა, 21 მოიჯარეს არ გადაუხდია მათთვის ხელშეკრულებით ნაკისრი 5,937 ლარის საიჯარო ქირა, რაც წარმოადგენს მისაღებ შემოსავლებს და დადგენილი წესით¹¹ უნდა ასახულიყო ანგარიშზე „1355 – მოთხოვნები ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით“, ხოლო 15 მოიჯარის მიერ წინასწარ გადახდილი 4,118 ლარის იჯარის თანხა, რაც წარმოადგენს მომავალი პერიოდის, 2019 წლის, შემოსავლების სახით მიღებულ საიჯარო ქირას და უნდა აღრიცხულიყო ანგარიშზე „3281 – წინასწარ მიღებული საიჯარო ქირა“.¹² ნაცვლად ამისა, ბიზნეს-ინკუბატორის ფინანსური მენეჯერის არაკვალიფიციური მიდგომის გამო, ბიზნეს-ინკუბატორის ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წელს აღრიცხულია მხოლოდ 1,729 ლარის მოკლევადიანი მოთხოვნები, ხოლო ვალდებულებები საერთოდ არ არის აღიარებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, კონსოლიდაციის პროცესში სამინისტროს აპარატის საფინანსო სამსახურის მიერ კომპონენტის ფინანსური ინფორმაციის არასაკმარისი კონტროლის შედეგად, სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია უზუსტოდ, კერძოდ მოთხოვნები – 4,208 ლარით, ხოლო ვალდებულებები – 4,118 ლარით არასწორადაა შემცირებული.

1.4 კაპიტალის (მოგება/ზარალი) არასწორი აღრიცხვა

ბიზნეს-ინკუბატორის ფინანსურ ანგარიშგებაში ერთდროულად დაფიქსირებულია როგორც 128,571 ლარის „5220 - გაუნაწილებელი მოგების“ ნაშთი, ასევე „5230 - დაუფარავი ზარალის“ ნაშთი - 11,429 ლარი. აღრიცხვის ინსტრუქციის¹³ მიხედვით დაუშვებელია, რომ ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში ერთდროულად ირიცხებოდეს მოგებაც და ზარალიც. კერძოდ,

¹¹ საქართველოს კანონის „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ შესახებ მე-14 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-13 მუხლის 31-ე პუნქტი.

¹² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 29-ე მუხლის 39-ე პუნქტი.

¹³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 39-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები.

ანგარიშების გადახურვით უნდა მოხდეს საბოლოო ნაშთის დაფიქსირება მოგების ან ზარალის სახით. მიუხედავად ამისა, სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მხოლოდ 128,571 ლარის „5220 - გაუნაწილებელი მოგების“ ნაშთი. აღნიშნული შეუსაბამობა გამოწვეული იყო ფინანსური მენეჯერის შეცდომით, რაც კვლავ მიუთითებს როგორც ბიზნეს-ინკუბატორის ფინანსური მენეჯერის არაკვალიფიციურ, ასევე სამინისტროს საფინანსო სამსახურის კონსოლიდაციის პროცესისადმი არაჯეროვან მიდგომაზე. როგორც დადგინდა, რეალურად ბიზნეს-ინკუბატორის 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის მოგებამ¹⁴ შეადგინა 2,168 ლარი და შესაბამისად, წინა წლის ზარალის – 949 ლარის გათვალისწინებით (მისი გადაფარვის შედეგად), ბიზნეს-ინკუბატორის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახულიყო მხოლოდ 1,219 ლარის „5220 - გაუნაწილებელი მოგების“ ნაშთი, ხოლო „5230 - დაუფარავი ზარალის“ ნაშთი უნდა განულებულიყო.

შედეგად, ბიზნეს-ინკუბატორის ფინანსურ ანგარიშგებაში საკუთარი კაპიტალი (გაუნაწილებელი მოგება და დაუფარავი ზარალი) წარმოდგენილია 115,923 ლარით, ხოლო სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში – 127,352 ლარით არასწორად გაზრდილი ოდენობით.

1.5 დანაკლისები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 1,643,673 ლარის არაფინანსური აქტივების დანაკლისებით მოთხოვნების ნაშთი წარმოადგენს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დროს ზემო აფხაზეთის ოკუპაციის შედეგად ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილ სამინისტროს აპარატის უძრავ/მოძრავ აქტივებს. დანაკლისების რეესტრის შესწავლით დადგინდა, რომ 1,504,832 ლარის მოთხოვნები აკმაყოფილებს დებიტორულ დავალიანებად (დანაკლისად) აღიარების კრიტერიუმებს, ვინაიდან, წარმოადგენს ზემო აფხაზეთში ოკუპაციის შედეგად დარჩენილ უძრავ ქონებას (მიწა და შენობა-ნაგებობები), ხოლო 138,841 ლარის ღირებულების მოთხოვნები არის დაკარგული 104 ერთეული მოძრავი ქონების 2008 წლის საბალანსო ღირებულება, რომლის ფაქტობრივი არსებობის შესახებაც რაიმე დოკუმენტი ან სხვა სახის საფუძველი არ არსებობს. შესაბამისად, წარმოიქმნება რისკი იმისა, რომ სამინისტრო ვერ დაიბრუნებს კონტროლს დანაკლისებად აღიარებულ მოძრავ აქტივებზე. ასევე აღსანიშნავია, რომ სტანდარტულ პირობებში აღნიშნული მოძრავი ქონების ექსპლუატაციის შემთხვევაში სამინისტროს 10 წლის განმავლობაში უნდა მოეხდინა მათზე ცვეთის დარიცხვა (საშუალოდ 10%) და ამ შემთხვევაშიც აღნიშნული აქტივები 2018 წლის მდგომარეობით იქნებოდა უკვე ამორტიზებული.

აღრიცხვის ინსტრუქციით,¹⁵ დებიტორული დავალიანების თანხები, რომელთა ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, ჩამოიწერება ხელმძღვანელის ბრძანებით და აისახება არასაოპერაციო ხარჯების ანგარიშზე. ამავე დროს, უიმედო დებიტორული დავალიანების თანხები აღირიცხება საცნობარო მუხლზე - „03 გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს 138,841 ლარის მოძრავი

¹⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 39-ე მუხლის მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტები.

¹⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის 34-ე პუნქტი.

ქონების დანაკლისთან დაკავშირებით უნდა გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნაკლოვანება გამოვლინდა წინა აუდიტის დროსაც, მისი გამოსწორების მიზნით სამინისტროს 2018 წელს ადეკვატური ქმედითი ღონისძიებები არ გაუტარებია.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა

მოქმედი კანონმდებლობით,¹⁶ ორგანიზაციის ხელმძღვანელი აღრიცხვის და ანგარიშგების ორგანიზების მიზნით, ერთიანი მეთოდოლოგიისა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად განსაზღვრავს: სააღრიცხვო პოლიტიკას/შიდა აღრიცხვის წესებს, ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციულ ფორმას, ანგარიშწარმოების ფორმას, სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიას, ბუღალტრული აღრიცხვის სპეციფიკურ მეთოდურ მითითებებს, შიდა ანგარიშგების ფორმებსა და კონტროლის სისტემას. თუმცა, სამინისტროს არ ჰქონდა შემუშავებული ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდირების მეთოდოლოგია და მის კონტროლირებად ერთეულებში არ იყო დადგენილი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესაბამისად, კომპონენტების მიერ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა სხვადასხვა მიდგომის საფუძველზე, ხოლო სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა განხორციელდა შესადარისობის პრინციპის დარღვევით (მაგალითად, სს „თელასი“-ს გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების მომსახურებით ისარგებლა როგორც ინფრასტრუქტურის დეპარტამენტმა, ასევე საინფორმაციო ცენტრმა. თუმცა ამ ოპერაციის აღრიცხვა თითოეულმა კომპონენტმა განხორციელა განსხვავებულად, კერძოდ ინფრასტრუქტურის დეპარტამენტმა აღიარა აქტივად და ასახა ბალანსზე, ხოლო საინფორმაციო ცენტრმა ჩამოწერა მიმდინარე ხარჯებში).

ამავდროულად, სამინისტროს დებულებით განსაზღვრული¹⁷ ფუნქციები მოიცავს ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების, სხვა მხარჯავი დაწესებულებების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საქმიანობის მეთოდოლოგიურ ხელმძღვანელობასა და მონიტორინგს. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ სამინისტროს ამ დრომდე არ შეუმუშავებია, წარუდგენია და დაუმტკიცებია ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციის პროცესთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, მიუთითებს სამინისტროს მხრიდან დაკისრებული უფლება-მოვალეობების შეუსრულებლობასა და აღრიცხვა-ანგარიშგებაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

2.2 ბუღალტრული აღრიცხვის ნაკლოვანებები

2.2.1 ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების ნაკლოვანებები

ინფრასტრუქტურის დეპარტამენტსა და ბიზნეს-ინკუბატორში ფაქტობრივად არ წარმოებდა ბუღალტრული აღრიცხვა (არც მატერიალური ფორმით და არც ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მეშვეობით). კერძოდ, არ ხდებოდა ოპერაციებისა და სხვა მოვლენების აღრიცხვა ბუღალტრული გატარებებით, შესაბამისად, არ შედგენილა მემორიალური ორდერები, ბრუნვითი უწყისები და მთავარი წიგნი, ხოლო პირველადი დოკუმენტები არ იყო ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგებული და აკინძული. ამასთანავე, მოქმედი

¹⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტები; საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ მე-5 მუხლი და 29-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

¹⁷ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის N3 დადგენილებით დამტკიცებული „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის „ე“ პუნქტი.

კანონმდებლობის მოთხოვნის¹⁸ მიუხედავად, ბიზნეს-ინკუბატორის 2018 წლის ბალანსი არ შემოწმებულა სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, იზრდება ფინანსური ანგარიშგების შეცდომით, არასწორად და არასრულად, ეკონომიკური მოვლენის გამოტოვებით შედგენის/წარდგენის რისკები. ვინაიდან, აღრიცხვის ინსტრუქციით¹⁹ ორგანიზაციაში ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზებაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ხოლო ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საბუღალტრო სამსახური, შესაბამისად, ინფრასტრუქტურის დეპარტამენტსა და ბიზნეს-ინკუბატორში ფიქსირდება პასუხისმგებელი პირების მხრიდან მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობებისადმი არაჯეროვანი დამოკიდებულება, ხოლო სამინისტროს მხრიდან - დაქვემდებარებული ორგანიზაციების არასათანადო კონტროლი.

2.2.2 ფინანსური ანგარიშგების ფორმების არასწორად წარდგენა

სამინისტროს კონსოლიდირებული და კომპონენტების ფინანსური ანგარიშგებების ბალანსისა და მისი დანართი ფორმების მონაცემების შესწავლით გამოვლინდა შემდეგი უზუსტობები:

- სამინისტროს კონსოლიდირებული, სამინისტროს აპარატისა და ბიზნეს-ინკუბატორის ფინანსური ანგარიშგების ფორმა N8-ში არ ფიქსირდება ინფორმაცია ორგანიზაციების ბალანსის შესაბამის ანგარიშებზე რიცხული ვალდებულებების შესახებ წარმოშობის წლების მიხედვით;
- ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის ბალანსის დანართ ფორმა N5-ში ძირითადი აქტივების ცვეთის ხარჯები,²⁰ 6,290 ლარის ოდენობით, ნაცვლად „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლისა შეცდომით ასახულია „სხვა გასვლების“ მუხლზე. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა და მატერიალური მარაგების საკუთარი მოხმარებისთვის გამოყენება აღრიცხვის ინსტრუქციით²¹ აისახება „საქონლისა და მომსახურების“ მუხლზე, თუმცა ინფრასტრუქტურის დეპარტამენტს 3,911 ლარის აქტივების ხარჯვა შეცდომით აქვს ასახული „სხვა გასვლების“ მუხლზე;
- ბალანსის დანართ ფორმა N5-ში მატერიალური მარაგების საკუთარი მოხმარებისთვის გამოყენება აღრიცხვის ინსტრუქციით²² აისახება „საქონლისა და მომსახურების“ მუხლზე, თუმცა გეოლოგიის სააგენტოს 931 ლარის აქტივების ხარჯვა შეცდომით აქვს ასახული „ანგარიშვალდებულ ან სხვა პირზე გადაცემის“ მუხლზე;
- საინფორმაციო ცენტრის ბალანსის ფორმაში საწყის ნაშთებად ტექნიკური შეცდომით არასწორად არის გადმოტანილი „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის (2122)“, „არამატერიალური ძირითადი აქტივების (2132)“ მუხლებისა და საცნობარო მუხლის „ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების (10)“ 2017 წლის საბოლოო ნაშთები. ასევე ფიქსირდებოდა რიგი შეუსაბამოები ფინანსური ანგარიშგების მონაცემებსა და ელექტრონული ბუღალტრული პროგრამით წარმოებული ბუღალტრული

¹⁸ საქართველოს კანონის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-7 და მე-11 პუნქტები.

²⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 24-ე მუხლის 22-ე პუნქტი და 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

²¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-8 პუნქტი.

²² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-8 პუნქტი.

აღრიცხვის მონაცემებს შორის, რომლებიც გამოსწორდა მიმდინარე აუდიტის პერიოდში.

ბუღალტრული აღრიცხვის ნაკლოვანებები მიუთითებს სამინისტროსა და მის მიერ კონტროლირებადი ერთეულების საბუღალტრო სამსახურების არაკვალიფიციურ მიდგომებზე, ხოლო ხელმძღვანელობის მხრიდან ფინანსური აღრიცხვისა და კონსოლიდაციის პროცესების არასათანადო კონტროლზე.

3. სხვა გარემოებები

3.1 შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

3.1.1 თანამდებობრივი რანგებისა და სარგოების განსაზღვრის ხარვეზები

მიუხედავად გეოლოგიის სააგენტოს მიერ სამინისტროში თანამშრომელთა რანგირების თაობაზე ინფორმაციის გადაგზავნისა, რომელზეც სამინისტროს ოფიციალური პასუხი არ გაუცია, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა²³ უგულებელყოფით გეოლოგიის სააგენტოში სამტატო განრიგით არ იყო განსაზღვრული თანამდებობრივი რანგები და შესაბამისი კოეფიციენტები. ამავდროულად, სამინისტროს ხელმძღვანელობისა და იურიდიული სამმართველოს არაკვალიფიციური მიდგომის გამო, განხორციელდა კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსაბამოდ წარდგენილი სამტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცება,²⁴ რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს სამინისტროს პასუხსმგებელი პირების მხრიდან დაკისრებული მოვალეობებისადმი არასათანადო დამოკიდებულებასა და მათ მიერ დაქვემდებარებული ორგანიზაციების არაჯეროვან კონტროლზე.

ბიზნეს-ინკუბატორში არ იყო დადგენილი (დამტკიცებული) 2018 წლის სამტატო ნუსხა, თანამდებობრივი რანგები და სარგოები, რაც მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებით²⁵ უნდა უზრუნველყოფილიყო 2018 წლის 20 იანვრამდე. შესაბამისად, ბიზნეს-ინკუბატორის მიერ დაირღვა კანონმდებლობის მოთხოვნები. ასევე აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც სამინისტროს არ განუხორციელებია ბიზნეს-ინკუბატორისადმი 2018 წლის სამტატო ნუსხის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით შემუშავებისა და წარდგენის მოთხოვნა, რაც სამინისტროს იურიდიული სამმართველოს არასათანადო მიდგომისა და ხელმძღვანელობის მხრიდან მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების უკონტროლობის შედეგია.

3.1.2 ხელფასის დარიცხვის საფუძვლების ნაკლოვანებები

სამინისტროს აპარატში და მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში ხელფასის დარიცხვის საფუძველს წარმოადგენდა სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელი ან/და თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებისა და წასვლის აღრიცხვის ჟურნალი (შემდგომ - მოსვლა-წასვლის ჟურნალი). მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ²⁶ სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელს არ აწარმოებდნენ ბიზნეს-ინკუბატორი და გეოლოგიის სააგენტო. ბიზნეს-ინკუბატორში ხელფასის დარიცხვის საფუძველს წარმოადგენდა მხოლოდ მოსვლა-წასვლის ჟურნალი, ხოლო გეოლოგიის სააგენტოში მოსვლა-წასვლის ჟურნალში არ ფიქსირდებოდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ექვსი

²³ საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 34-ე მუხლის პირველი პუნქტი; საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 იანვრის N7 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული საჯარო დაწესებულების თანამდებობების/პოზიციების პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის მიკუთვნებული თანამდებობების ეკვივალენტური ფუნქციური დატვირთვის განსაზღვრის წესი“

²⁴ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის 18 იანვრის N01/03 ბრძანება „სსიპ გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტოს“ სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების შესახებ.

²⁵ საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 34-ე მუხლის პირველი პუნქტი; საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 იანვრის N7 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული საჯარო დაწესებულების თანამდებობების/პოზიციების პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის მიკუთვნებული თანამდებობების ეკვივალენტური ფუნქციური დატვირთვის განსაზღვრის წესი“

²⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N449 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების“ დანართის სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელის ფორმა N019.

პირი. გარდა ამისა, გამოვლინდა აღრიცხვის ჟურნალის წარმოებასთან დაკავშირებული ხარვეზი. კერძოდ, ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის მოსვლა-წასვლის ჟურნალში არ იყო აღნიშნული თანამშრომლის სამსახურში გამოცხადებისა და წასვლის დრო. ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში მოსვლა-წასვლის ჟურნალი წარმოება ფორმალურად და არ ასახავდა რეალურ მდგომარეობას, შესაბამისად შეუძლებელია თანამშრომელთა ნამუშევარი დროის იდენტიფიცირება.

ვინაიდან აღრიცხვის ინსტრუქციით²⁷ სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვის ფორმა (ტაბელი) და მოსვლა-წასვლის ჟურნალი ხელფასის დარიცხვის საფუძველია, ხოლო სამინისტროს ვერცერთი სტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს თანამშრომელთა ყოველდღიური სამუშაო დროის ზუსტ აღრიცხვა-კონტროლს, ფაქტობრივად ფიქსირდება სახელფასო თანხების კანონმდებლობით დადგენილი წესის შეუსაბამოდ გაცემა, რაც თავის მხრივ შეიცავს საბიუჯეტო სახსრების (1,352,681 ლარის) არამიზნობრივად, არეფექტიანად გახარჯვის რისკებს და არ იძლევა შესაბამისი რწმუნების გაცემის შესაძლებლობას კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

3.2 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის აზღაურების ხარვეზები

სამინისტროს აპარატსა და მისდამი დაქვემდებარებულ ოთხ ორგანიზაციაში, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ თანამშრომლებზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილებასთან დაკავშირებით გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები. კერძოდ, სამი თანამშრომელი 2018 წელს გარკვეული პერიოდით მუშაობდა სამინისტროში შემავალ სხვადასხვა სსიპ-ში. დადგინდა, რომ აპარატში არამუდმივ სამუშაოზე 30 დღეზე მეტი პერიოდით დასაქმებული ერთი თანამშრომელი ასრულებდა აპარატის საბიუჯეტო დეპარტამენტის ოთხ მთავარ სპეციალისტზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების მსგავსი სახის სამუშაოს, ხოლო სხვადასხვა პერიოდით და მსგავსი ფუნქციით ასევე დასაქმებული იყო გეოლოგიის სააგენტოსა და საინფორმაციო ცენტრში, სადაც ასრულებდა შესყიდვის სპეციალისტის ფუნქციებს. ანალოგიურად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ კიდევ ორ თანამშრომელზე დაფიქსირდა სხვადასხვა სსიპ-ში განსხვავებული ფუნქციების შეთავსება, კერძოდ, ერთ პიროვნებაზე აპარატისა და ინფრასტრუქტურის დეპარტამენტში, ხოლო მეორეზე – გეოლოგიის სააგენტოსა და ინფრასტრუქტურის დეპარტამენტში.

გარდა ამისა, გეოლოგიის სააგენტოში ვერ იქნა წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ექვსი თანამშრომლის, რომელთა წლიურმა ხელფასმა შეადგინა 10,700 ლარი, სამსახურში გამოცხადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ასევე ანგარიშები მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. გეოლოგიის სააგენტოში შრომითი ხელშეკრულებით, დამხმარე და არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით დასაქმებულ თანამშრომელთა საერთო რაოდენობამ დაწესებულებაში შტატით მომუშავეთა ფაქტობრივი რიცხოვნობის 88.9% შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებულთა რაოდენობა კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად შეთანხმებული იყო აღმასრულებელ ორგანოსთან, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი,

²⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 30-ე მუხლის მე-14 პუნქტი.

რომ ხელშეკრულებით დასაქმებული რამდენიმე პირი ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით ასრულებდა ერთსა და იმავე სამუშაოს (აფხაზეთის გეოლოგიური ფონდების შესახებ რუსულ ენაზე გამოცემული მასალების ქართულად თარგმნა).

გეოლოგიის სააგენტოში ტექნიკური საკითხების მოსაგვარებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ორი პირის ფუნქცია-მოვალეობა გაურკვეველი იყო. წარმოდგენილი განმარტებებით, აღნიშნული თანამშრომლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში, თუმცა რაიმე სახის დოკუმენტური მტკიცებულება შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით ვერ იქნა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეუძლებელია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული შვიდი პირის, რომლებზეც 2018 წელს ხელფასის სახით გაიცა 24,580 ლარი, რეალურად შესრულებული სამუშაოს იდენტიფიცირება, ასევე გაურკვეველია მათი დასაქმების აუცილებლობა და რიგ შემთხვევებში მათ მიერ შესრულებული სამუშაოს მიზანი. შესაბამისად, გეოლოგიის სააგენტოს ხელმძღვანელობის მხრიდან დასაქმებულთა მიერ განსახორციელებელი სამუშაოს შესრულება/შეუსრულებლობის არასათანადო კონტროლის პირობებში ზემოაღნიშნული საბიუჯეტო სახსრები არამიზნობრივად, არაეფექტიანად არის გახარჯული და ამავდროულად წარმოდგენილი შემთხვევები პირთა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებისადმი დაინტერესების რისკების შემცველია.

3.3 არაფინანსური

აქტივების განკარგვა

3.3.1. უძრავი ქონების კანონშეუსაბამოდ სარგებლობა

სამინისტროს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების გამოყენების შესწავლით კვლავ დაფიქსირდა 1,603,096 ლარის საბალანსო ღირებულების სახელმწიფო ქონების კანონშეუსაბამოდ სარგებლობის ფაქტები და ბიუჯეტში აღნიშნული ქონების სარგებლობის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევები. კერძოდ, ერთ უძრავ ქონებაზე ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ხოლო ხუთ ერთეულ უძრავ ქონებაზე – სამინისტროს ბრძანებებით²⁸ მოვლა-პატრონობის მიზნით გადაცემის საფუძველზე, განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა სამინისტროს 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს-ები (იხ. ცხრილი N4), რომლებიც აღნიშნულ ფართებს იყენებდნენ ეკონომიკური (სამეწარმეო) საქმიანობისათვის. მოქმედი კანონმდებლობის²⁹ შესაბამისად, სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას სამეწარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებულია, ქონების მმართველის წერილობითი მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს სარგებლობაში გადაცემის საფასური, საბაზრო ღირებულების შესაბამისად (საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან სარგებლობის მთელი პერიოდისათვის.

²⁸ აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 2012 წლის 16 მარტის N01/44 ბრძანება
აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2015 წლის 7 მაისის N03/95 ბრძანება;
აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2015 წლის 25 დეკემბრის N03/270;
აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2017 წლის 21 სექტემბრის N01/45 ბრძანება.

²⁹ საქართველოს კანონის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ 36-ე მუხლის 1³ პუნქტი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შპს-ები ფართის სარგებლობაში გადაცემის საფასურს საბაზრო ღირებულების მიხედვით ბიუჯეტში არ იხდიდნენ.

ცხრილი N 4: სამინისტროს უძრავი ქონების გამოყენების მდგომარეობა

უძრავი ქონების მისამართი	ფართობი (კვ.მ)	საბალანსო ღირებულება (ლარი)	განთავსებული ორგანიზაცია	ორგანიზაციის ფართზე განთავსების საფუძველი
დაბა წყნეთი, ნაკვეთი 04068	559	175,000	შპს „საოჯახო მედიცინის ცენტრი ცხუმი“	უსაფუძვლოდ
ქ. ხობი, სტალინის ქ. N6, შენობა-ნაგებობა	100	83,300	შპს „აფხაზეთიდან იგპ ხობის პოლიკლინიკა“	მოვლა-პატრონობის მიზნით გადაცემა
ქ. თბილისი, მეველის ქ. N17, მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით	2,053	702,126	შპს „ავტოტანასერვისი“	მოვლა-პატრონობის მიზნით გადაცემა
ქ. თბილისი, მეველის ქ. N17, შენობა-ნაგებობა N1, N2, N3	316	135,360	შპს „ავტოტანასერვისი“	მოვლა-პატრონობის მიზნით გადაცემა
ქ. წყალტუბო, 26 მაისის ქ. N17, მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით	750	199,820	შპს „აფხაზეთიდან იგპ წყალტუბოს პოლიკლინიკა“	მოვლა-პატრონობის მიზნით გადაცემა
ქ. თბილისი, ჩიტაიას ქ. N21, შენობა-ნაგებობა	269.6	307,490	შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი აფხაზეთი“	მოვლა-პატრონობის მიზნით გადაცემა

**3.3.2 მოძრავი აქტივების
განკარგვის ნაკლოვანებები**

ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის აქტივების დათვალიერებით გამოვლინდა 41 ერთეული 7,879 ლარის საწყისი ღირებულების აქტივები, რომლებიც არ გამოიყენებოდა და ინახებოდა ცალკე, მათი უვარგისობის გამო. თუმცა, 2018 წლის დეკემბერში ჩატარებული³⁰ ინვენტარიზაციისას არ დაფიქსირებულა აღნიშნული აქტივების უვარგისობის შესახებ ინფორმაცია, ასევე არ არის შედგენილი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი³¹ ცალკე აღწერები, რომელშიც მიეთითება აქტივის შეძენის წელი და ხმარებისათვის უვარგისად ქცევის მიზეზები.

ასევე გამოვლინდა, რომ ინფრასტრუქტურის დეპარტამენტში მატერიალური მარაგებისა და მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივების შეძენა ხორციელდებოდა მხოლოდ თანამშრომელთა ზეპირსიტყვიერი მოთხოვნის საფუძველზე, საჭიროებიდან გამომდინარე. შეძენილი აქტივები ინახებოდა ძირითადად დაწესებულების ხელმძღვანელისა და ბუღალტრის ოთახებში, ხოლო თანამშრომლებზე გაცემა ხორციელდებოდა ასევე ზეპირსიტყვიერი მოთხოვნის საფუძველზე. შესაბამისად, ვერ იქნა წარმოდგენილი 2018 წელს შეძენილი 4,711 ლარის მარაგებისა და მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივების საჭიროების/მიზნობრიობისა და შესაბამისი მოხმარების/ხარჯვის დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტაცია. შესაბამისად ინფრასტრუქტურის დეპარტამენტში მცირეფასიანი აქტივების შეძენა და

³⁰ ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელის 2018 წლის 11 დეკემბრის N57 ბრძანებით ჩატარებული ინვენტარიზაცია.

³¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის მე-9 პუნქტი და მე-10 მუხლის მე-10 პუნქტი.

გამოყენება ხორციელდებოდა ყოველგვარი კონტროლის გარეშე, რაც წარმოქმნის საბიუჯეტო რესურსების (შემძენილი აქტივების) არამიზნობრივად გამოყენების რისკებს. ამავდროულად დეპარტამენტის ბალანსის დანართ ფორმა N5-ში არ იყო ასახული 871 ლარის მატერიალური მარაგების მიღება.

ბიზნეს-ინკუბატორში 2018 წელს არ ჩატარებულა მოქმედი კანონმდებლობით³² მოთხოვნილი ყოველწლიური სავალდებულო ინვენტარიზაცია, შესაბამისად არ შემოწმებულა იჯარით გაცემული სასათბურე კონსტრუქციების შენახვის პირობები, მათი ფაქტობრივი მდგომარეობა. ასევე არ განხორციელებულა ფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაშთების რეალურობის შემოწმება. აუდიტის ჯგუფის მიერ სასათბურე კონსტრუქციების შერჩევითი შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ ქალაქ სიღნაღში იჯარით გაცემული 1,440 კვ.მ სასათბურე კონსტრუქციებით მოწყობილ მოიჯარის მეურნეობას 2017 წელს გაუჩნდა ხანძარი. მიუხედავად იმისა, რომ კონსტრუქციის მასალიდან გამომდინარე (მოთუთიებული ლითონი) თავად კონსტრუქცია არ დაიწვა, ბიზნეს-ინკუბატორის მხრიდან აღნიშნულ ფაქტს არ მოჰყოლია სათანადო რეაგირება, კერძოდ, არ ჩატარებულა მოქმედი კანონმდებლობით³³ დადგენილი ხანძრის შემდგომი სავალდებულო ინვენტარიზაცია, რომლითაც უნდა შესწავლილიყო აქტივის მდგომარეობა და მიღებული ზარალი (არსებობის შემთხვევაში), არ გამოვლენილა პასუხისმგებელი პირი, მოიჯარის მიმართ არ გატარებულა არანაირი გამაფრთხილებელი ან სხვა სახის ღონისძიება. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს ბიზნეს-ინკუბატორის მხრიდან მის სარგებლობაში არსებული აქტივების უკონტროლობასა და დაკისრებული უფლება-მოვალეობებისადმი არაჯეროვან მიდგომაზე.

3.4 სახელმწიფო გადასახადის დეკლარირების ხარვეზი

ბიზნეს-ინკუბატორის 2018 წლის ქონების გადასახადის დეკლარაციის შემოწმებით დადგინდა, რომ ორგანიზაციამ, ფინანსური მენეჯერის არაკვალიფიციური მიდგომის შედეგად, არასწორი გაანგარიშებით წარადგინა მოქმედი კანონმდებლობით³⁴ განსაზღვრული ქონების გადასახადის დეკლარაცია. კერძოდ ნაცვლად 7,496 ლარისა, დეკლარაციაში ასახული იყო 5,172 ლარის ქონების გადასახადი, რითაც ბიუჯეტში გადასახდელი თანხა შემცირებული იყო 2,324 ლარით.

3.5 სსიპ-ების საქმიანობა

გეოლოგიის სააგენტოს დებულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობები და ფუნქციები: ყველა სახის გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება, კერძოდ, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური, მინერალოგიური, გეოეკოლოგიური და სხვ. თუმცა როგორც დადგინდა, გეოლოგიის სააგენტოს მიერ 2018 წელს შესრულებული სამუშაოები ძირითადად იყო გეოლოგიურ ფონდებში, ინტერნეტში და სხვა წყაროებიდან მოძიებული უცხო ენაზე დაწერილი გეოდინამიკურ პროცესებთან დაკავშირებული მასალების თარგმნა და მიღებული ინფორმაციის შესაბამისი ტერიტორიის კოსმოსური სურათების

³² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ პირველი მუხლის მე-4 პუნქტი.

³³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

³⁴ „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 201-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, 202-ე მუხლის პირველი პუნქტი და 206-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

(გუგლსატელიტით მოძიებული) ფაქტობრივ მონაცემებთან შედარება, ხოლო გამოვლენილი გარემოს ცვლილებების შესახებ ანგარიშის მომზადება და მისი წარდგენა მაკონტროლებლისათვის, რაც (თარგმნა/შედარება) რეალურად ვერ ჩაითვლება სააგენტოსათვის დებულებით განსაზღვრულ ძირითად საქმიანობად. გარდა აღნიშნული საქმიანობისა, გეოლოგიის სააგენტოს სხვა პრაქტიკული გეოლოგიური სახის სამუშაოები არ განუხორციელებია. გეოლოგიის სააგენტოს საკასო ხარჯებმა 2018 წელს შეადგინა 126,999 ლარი, საიდანაც 97.5% (123,774) შეადგენდა ცხრა შტატის თანამშრომლისა (98,474 ლარი) და რვა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის (25,300) სახელფასო ანაზღაურება.

ბიზნეს-ინკუბატორის დებულებით განსაზღვრული მიზნები და ფუნქციები მოიცავს: აფხაზეთიდან იგპ-ებში სამუშაოს მაძიებლების და ქვეყანაში არსებული ვაკანსიების ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნასა და მის სისტემატურ განახლებას; სამუშაოს მაძიებელი აფხაზეთიდან იგპ-ების სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლების, შემდგომში მათი დასაქმების ხელშეწყობას და სხვ. თუმცა მოწოდებული 2017-2018 წლების სამუშაოს მაძიებელ იგპ-თა 31-კაციანი რეესტრი (მათ შორის, დასაქმებულია შვიდი პირი) ვერ ჩაითვლება სამუშაოს მაძიებელ იგპ-თა ერთიან მონაცემთა ბაზად, ხოლო არსებული ვაკანსიების ერთიანი ბაზა ამ დრომდე არ შექმნილა. შესაბამისად, ვერ იქნა წარმოდგენილი ბიზნეს-ინკუბატორის მთავარი მიზნის, კერძოდ, შრომისუნარიანი მოსახლეობის, უპირატესად ახალგაზრდების დასაქმების, უმუშევრობის შემცირებისა და სიღარიბის დაძლევის მისაღწევად განხორციელებული კონკრეტული ქმედითი ღონისძიების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

გარდა აღნიშნულისა, უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებებით მოიჯარე ვალდებულია ყოველ ექვს თვეში ბიზნეს-ინკუბატორის მიერ რეკომენდებულ ხუთი ახალგაზრდისათვის მიეცა საშუალება და შეექმნა ყველა პირობა, კომპანიაში გაეწეო სტაჟირება და ბიზნესსაქმიანობის პრაქტიკული სწავლება. თუმცა აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი იმ პირთა რეესტრი, რომლებმაც აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში მოიჯარეთა ბიზნესსაქმიანობის პროცესში გაიარეს სტაჟირება. აღნიშნული მიუთითებს, რომ არ ხორციელდება ბიზნეს-ინკუბატორის მხრიდან სტაჟიორთა აღრიცხვა და კონტროლი.

ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბიზნეს-ინკუბატორის სარგებლობაში არსებულ, დაახლოებით, 130.00 კვ.მ ფართზე ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“, სადაც ასევე დასაქმებული იყო ბიზნეს-ინკუბატორის ძირითადი პერსონალი (დირექტორი, ფინანსური მენეჯერი, ოფისის მენეჯერი, IT-სპეციალისტი).

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ ბიზნეს-ინკუბატორი დაინტერესებულია შეასრულოს არა დებულებით განსაზღვრული ფუნქციები, არამედ მხოლოდ მის სარგებლობაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება გასცეს იჯარით და მიიღოს შემოსავლები.

3.6 კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებები

სამინისტროს აპარატისა და სამინისტროს კონტროლში შემავალი ორგანიზაციების პროცესების შესწავლით დადგინდა, რომ არ იყო

შემუშავებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებული კონტროლის პოლიტიკა და პროცედურები, შესაბამისად, არ არსებობდა ფორმალიზებული შიდა კონტროლის სისტემა (ავტომატიზებული ან მანუალური), ხოლო არაფორმალიზებული კონტროლის მექანიზმების, ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი პროცესების კონტროლის პროცედურების შესახებ რაიმე სახის ოფიციალური დოკუმენტი ვერ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, ვერ დასტურდება მათი ფუნქციონირების ეფექტიანობა.

სამინისტროში კონტროლის პროცედურების ფორმალური ინსტრუქციის (სახელმძღვანელო, დებულება ან სხვა ფორმალური დოკუმენტი) არარსებობა და არაფორმალიზებული კონტროლის პროცედურები მიუთითებს ორგანიზაციის მიმდინარე პროცესებში არსებულ მნიშვნელოვან რისკებზე.

3.7 წინა აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა

წინა აუდიტით სამინისტროს აპარატში გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით გატარდა რიგი ღონისძიებები და შესრულდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ:

-)/ განხორციელდა ფინანსურ ანგარიშგებაში სახანძრო სიგნალიზაციის ცალკე აქტივად ასახვა და ცვეთის დარიცხვა კანონმდებლობის შესაბამისად;
-)/ არაფუნქციონირებადი ხაზინის ელექტრონული პროგრამა ჩამოიწერა ბალანსიდან;
-)/ ბალანსზე რიცხული განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება ჩამოწერილია ბალანსიდან და გადატანილია ფინანსური ანგარიშგების შესაბამის საცნობარო მუხლზე;
-)/ განხორციელდა მატერიალური მარაგების აღრიცხვა მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით და დაზუსტებული ნაშთები აისახა ფინანსური ანგარიშგებაში;
-)/ გადახდილია შპს „კალას“ მიერ შვიდი თვის იჯარის ქირა და დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა;
-)/ მოწესრიგდა არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვა;
-)/ მცირეფასიანი აქტივების ხარჯვისა და არაფინანსური აქტივების მიღებისას, მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით დადასტურებულია, როგორც გასავლის ზედდებულები, ასევე მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბუთები;
-)/ სამინისტრომ დაიწყო ბუღალტრული პროგრამის გამოყენება;
-)/ ქონების მართვის დეპარტამენტის მიერ ხორციელდება მინიტორინგი 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მიერ რეინვესტირებისათვის თანხების გამოყოფის აუცილებლობასა და რეინვესტირებული სახსრების მიზნობრივად გამოყენება-ხარჯვასთან დაკავშირებით, რაზეც წარმოდგენილია შესაბამისი ანგარიში;
-)/ სამინისტროს ბალანსზე რიცხული მიწის ნაკვეთები სოფელ რუხსა და რიყეში გადაეცა სახელმწიფოს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სახელმწიფო ქონების კანონშესაბამოდ გამოყენების საკითხი. კერძოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ არაერთგზის გაცემული რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ აღკვეთილიყო სამინისტროს 100%-იანი წილით დაფუძნებული შპს-ების უსაფუძვლოდ ან მოვლა-პატრონობის მიზნით გადაცემის საფუძველზე სახელმწიფო ქონების ეკონომიკური საქმიანობისათვის

გამოყენება და ბიუჯეტში აღნიშნული ქონების სარგებლობის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევები, კვლავაც არ არის შესრულებული. სამინისტროს არც 2018 წელს არ განუხორციელებია კონკრეტული ქმედითი ღონისძიებები მისთვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც მიუთითებს სამინისტროს მხრიდან წლების განმავლობაში როგორც საკანონმდებლო მოთხოვნების, ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების უგულვებელყოფასა და სახელმწიფო ქონების არამიზნობრივად გამოყენებაზე.

4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით, „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი - უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებდნა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამყდნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ს მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან

თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;

- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;

- ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;

- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორების ხელმოწერა

ეთერ კაცაძე

აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი

მიხეილ გოდოლაძე

აუდიტორი

ნინო ბრეგვაძე

აუდიტორ-ასისტენტი

ხელმოწერა



ფინანსური ანგარიშგების ფორმა

ფორმა N1. ფინანსთა სამინისტროს კონსოლიდირებული ბალანსი

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისის ვის	ნაშთი წლის ბოლოს
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული საღაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული საღაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1211		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1212		
050	სხვა ანგარიშები ბანკში	1220		
060	მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში	1230	1,695	142,134
070	ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის	1240		
080	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
090	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
100	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
110	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
120	გადასახადების სახაზინო ანგარიში	1291		
130	სხვადასხვა ანგარიშები ხაზინაში	1292		
140	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
150	მოკლევადიანი საბიუჯეტო სესხები	1321		
160	მოკლევადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით	1322		
170	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
180	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
190	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
200	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
210	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
220	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
230	მოთხოვნები ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების დანაკლისებით	1356		
250	საშემოსავლო გადასახადი	1361		
260	მოგების გადასახადი	1362		
270	ქონების გადასახადი	1363		
280	დამატებული ღირებულების გადასახადი	1364		
290	აქციის გადასახადი	1365		
300	იმპორტის გადასახადი	1366		
310	სხვა გადასახადები	1367		
320	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1370		
330	მოთხოვნები ბარტერით	1410		
340	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
350	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431		
360	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432		

370	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440	1,643,673	1,643,673
380	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები ავანსად გაცემული თანხებით	1451		
390	მოთხოვნები მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების ანგარიშვალდებულ პირზე გადაცემით	1452		
400	მოთხოვნები გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების ანგარიშვალდებულ პირზე გადაცემით	1453		
410	ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები	1454		
420	მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის შიგნით	1461		
430	მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის გარეთ	1462		
440	მომუშავეების მიმართ სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1463		
450	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
460	მოთხოვნები მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით	1481		
470	მოთხოვნები გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით	1482		
480	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1483	1,040	2,769
490	გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხები	1511		
500	გრძელვადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით	1512		
510	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		
520	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		
530	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540		

II. არაფინანსური აქტივები

540	სტრატეგიული მარაგები	1610		
550	ნედლეული და მასალები	1621		
560	დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურება	1622		
570	მზა პროდუქცია	1623		
580	შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი	1624		
590	ფულადი დოკუმენტები	1625		
600	სათადარიგო ნაწილები	1626		
610	სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	1627		
620	საცხოვრებელი შენობები	2111		
630	არასაცხოვრებელი შენობები	2112	3,748,150	3,679,970
640	საგზაო მაგისტრალები	2113		
650	ქუჩები	2114		
660	გზები	2115		
670	ხიდები	2116		
680	გვირაბები	2117		
690	გაყვანილობის სისტემები	2118	3,760	3,290
700	სხვა ნაგებობები	2119		
710	სატრასპორტო საშუალებები	2121	22,866	35,514
720	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2122	226,064	231,643
730	კულტივირებული აქტივები	2131		
740	არამატერიალური ძირითადი აქტივები	2132	11,280	10,007
750	სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები	2140	11,281	
760	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2141		
770	საოპერაციო იჯარით მიღებული ქონების არსებითი გაუმჯობესება	2142		
780	ტექნიკა	2210		

790	ინვენტარი	2220		
800	მოწყობილობა	2230		
810	სხვა მცირეფასიანი აქტივები	2240		
820	ძვირფასი ქვები და ლითონები	2310		
830	ხელოვნების ნიმუშები	2320		
840	სხვა ფასეულობები	2340		11,281
850	მიწა	2410	1,373,976	877,126
860	წიაღისეული	2420		
870	სხვა ბუნებრივი აქტივები	2430		
880	არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	2440		
890	ბალანსი		7,043,786	6,637,407

კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის ბოლოს
I. ვალდებულებები				
890	ვალდებულებები დეპოზიტებით	3110		
900	ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით, გარდა აქციებისა	3120		
910	მოკლევადიანი ვალდებულებები საბიუჯეტო სესხებით	3131		
920	მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები არასაბიუჯეტო სახსრებით	3132		
930	ვალდებულებები აქციებით და სხვა კაპიტალით	3140		
940	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3150		
950	საქონლისა და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210		1,954
960	არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
970	ვალდებულებები ბარტერით	3230		
980	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
990	გადასახდელი დღგ	3242		
1000	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		
1010	სხვა გადასახდელები	3244		
1020	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები საკასო შესრულებით	3245		
1030	გადასახდელი ქონების გადასახადი	3246		
1040	გადასახდელი აქციზი	3247		
1050	გადასახდელი იმპორტის გადასახადი	3248		
1060	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251	3,684	16,332
1070	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
1080	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
1090	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
1100	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
1110	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
1120	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		
1130	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
1140	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		

1150	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
1160	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
1170	წინასწარ მიღებული საიჯარო ქირა	3281		
1180	წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლები	3282		
1190	დარიცხული გადასახდელი რენტა	3283		
1200	დარიცხული გადასახდელი პროცენტები	3284		
1210	გადასახდელი დივიდენდები	3285		
1220	სხვა დარიცხული მოკლევადიანი ვალდებულებები	3286		
1230	გრძელვადიანი ვალდებულებები საბიუჯეტო სესხებით	3311		
1240	გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები არასაბიუჯეტო სახსრებით	3312		
1250	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320		
1260	საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331		
1270	არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332		
1280	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333		

II. კაპიტალი

1290	წმინდა ღირებულება	5100	7,041,051	6,490,550
1300	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
1310	გაუნაწილებელი მოგება	5220		128571
1320	დაუფარავი ზარალი*	5230	949	
1330	ბალანსი		7,044,735	6,637,407

III. საცნობარო მუხლები

800	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები	01		
810	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02		
820	გადახდისუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03		
830	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	146	2,463
840	პირობითი მოთხოვნები	05		
850	პირობითი ვალდებულებები	06		
860	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
870	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08	145,537	176,275
880	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09		
890	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	148,772	160,428
900	განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	11	7,355	25,917
910	საბანკო გარანტიები	12		

საკონტაქტო ინფორმაცია

ანგარიშის ავტორები	ეთერ კაცაძე - EKatsadze@sao.ge მიხეილ გოდოლაძე - MGodoladze@sao.ge ნინო ბრეგვაძე - NBregvadze@sao.ge
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://sao.ge/ https://budgetmonitor.ge/ka http://blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38